საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-598

24/07/2018

ქ. თბილისი

შპს „ლაზუ-ჯგუფის“ რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის 10.3 ქვეპუნქტის და „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 #1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხატისოფელში, რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს (ნარჩენების აღდგენა) მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა #20; 16.07.2018 წ;
2. შპს „ლაზუ-ჯგუფი“ ვალდებულია უზრუნველყოს გზშ-ს ანგარიშის მომზადება #20; 16.07.2018 წ; სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლაზუ-ჯგუფს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლაზუ-ჯგუფის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი